სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

რევაზ ხვისტანი[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI:https://doi.org/10.52340/sou.2023.21.12

ჩხუტელის კრიპტა

აბსტრაქტი. ნაშრომში შესწავლილია ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელში, წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ეკლესიის ია-ტაკქვეშ გამოვლენილი კიბიანი ნაგებობის ნაშთი, რომელიც თავისი ფორმით წარმოადგენს მიწისქვეშა სათავსოს, სამალავს, გალერეას, კრიპტას, რომელსაც იყენებდნენ წმიდანის დასაკრძალავად და საეკლესიო სამსახურისათვის. მსგავსი კრიპტები მრავლადაა გამოვლენილი არქეოლოგების მიერ ადრეშუასაუკუნეების ქართულ ქრისტიანულ ეკლესიების იატაკქვეშ (დავათი, ნეკრესი, ბირელ კატი და სხვ.).

ახლადგამოვლენილი კრიპტა და მასზე გამოვლენილი წამების კვალიანი თითები ადამიანისა, VII-IV, XI-XII საუკუნეების ბერძნული და ქართული წერილობითი წყაროების ცნობები, აგრეთვე ასევე სხვა გარემოებები, საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სამარხთან.

საკვანძო სიტყვები: ჩხუტელის კრიპტა, ქრისტიანული ეკლესიები, ისტორიული წყაროები, წმინდა მაქსიმე აღმსარებელი.

Revaz Khvistani[2]
Sokhumi State University

Crypt from Chkhuteli

Abstract. The paper studies the remains of a building discovered under the floor of the St. Maximus the Confessor Church in the village of Chkhuteli, Tsageri

---

[1]**რევაზ ხვისტანი,** ისტორიის დოქტორი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.
[2] **Revaz Khvistani**. Doctor of History. Associate Professor of the Department of Archaeology, Sukhumi State University.

Municipality. Its form represents an underground storage room, a hiding place, a gallery, and a crypt, which were used for the burial of a saint and for church services. Many similar crypts have been discovered by archaeologies under the floor of early medieval Georgian Christian churches (Daviti, Nekrisi and so on).

The newly discovered crypt and the human fingerprints found on it, references to Greek and Georgian written sources from the 7th-4th, 11th-12th centuries, as well as other circumstances, give us reason to believe that we are dealing with the tomb of Saint Maximus the Confessor.

***Keywords*:** Crypt from Chkhuteli, Christian churches, historical sources, Saint Maximus the Confessor.

შესავალი. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელში, მდინარე ცხენისწყალის მარცხენა მხარეზე მდებარე წმიდა მაქსიმე აღმსარებელის სახელობის ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოების დროს ტაძრის საკურთხეველში შემთხვევით გამოვლინდა სამარხი.

ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსის მეუფე სტეფანეს თხოვნით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ძეგლზე კვლევების საწარმოებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგებთან ერთად ჩვენც მიგვიწვია (ექსპედიციის ხელმძღვანელად).

დისკუსია. 2011 წლის იანვარში წმიდა მაქსიმე აღმსარებელის სახელობის ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოების დროს, ტაძრის საკურთხეველში იატაკქვეშ გამოვლენილი სათავსოს ნაშთი მთლიანად გაითხარა ეკლესიის ინტერიერის ჰორიზონტალურ დონემდე, რამაც შემდეგი არქეოლოგიური სურათი და სტრატიგრაფია გამოავლინა.

ტაძრის ინტერიერის გაუთხრელ მონაკვეთში, სადაც მოხსნილი იყო თანამედროვე ტაძრის ცემენტით მოგებული იატაკი, შემდგომმა გათხრამ, ქვაღორღიანი მიწის მოხსნამ დაახლოებით 0.50 მ სიღრმეზე გამოავლინა კიდევ ერთი ცემენტის იატაკის დონე, რომელიც ალბათ XIX ს-ის 10-იან წლებში აშენებულ ტაძარს ეკუთვნოდა. ამ იატაკის ქვემოთ, 20-35 სმ სიღრმეზე ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა რკინის ჯვარი, რუსული, ტრაპეზის (ხვისტანი 2012, გვ.32;)

XIX ს-ის სამშენებლო ფენის ქვეშ მოქცეულია ნაგებობათა კიდევ ორი სხვადასხვა ფენა. ერთ-ერთი ამ ნაგებობათაგანი ქრისტიანული ტაძარი უნდა ყოფილიყო, რომლისაგანაც შემორჩენილია სამხრეთის კედლის ნაშთი კარის ღიობით (განი – 95 სმ) კარის წირთხლები ამოყვანილია შირმის კარგად გათლილი კვადრებით (25X21 სმ). შემორჩენილი კედლის ფრაგმენტის მიმა-რთულების მიხედვით, ეს ნაგებობა უფრო ზუსტადაა მიმართული აღმოსავლეთისაკენ, ვიდრე გვიანდელი ნაგებობები, რომლებიც, რამდენადმე გადახრილი არიან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. არქეოლოგიური მასალის უქონლობის

გამო მისი თარიღი გაურკვეველია. შირმის კვადრების მიხედვით, სავარაუდოა, რომ იგი ადრე ან განვითარებულ შუა საუკუნეებშია აშენებული.

ამ, ადრე ან განვითარებულ შუა საუკუნეებში აშენებული ტაძრის დანგრევიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შირმის კედლების ნაშთებზე ჩრდილოეთის მხრიდან მიუშენებიათ ქვითკირის საფეხურებიანი ნაგებობა, რომელსაც დასავლეთ ნაწილში ბოლო საფეხური მონგრეული აქვს. შემორჩენილია ორი საფეხური, რომელიც აღმოსავლეთით ეშვება პირდაპირ აღმოჩენილი სამარხის მიმართულებით, ქვის დამუშავებული ფილებით მოგებულ ბაქანზე (იატაკზე). ეს ბაქანი აღმოსავლეთით მიბჯენილია ქვითკირის კედელზე, რომელიც დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და თითქმის მთლიანად მოქცეულია თანამედროვე ტაძრის აღმოსავლეთი კედლის ქვეშ.

აბსიდის ჩრდილოეთ კიდეში ამ კედელს აქვს ქვითკირისავე შვერილი დასავლეთიდან, რომელიც ამავე კედლის პარალელურად შედის თანამედროვე ტაძრის ჩრდილო კედლის ქვეშ და 1 მეტრისა და 80 სმ-ის შემდეგ მართი კუთხით ებჯინება ქვითკირისავე კედლის სამხრეთ ფასაადს. იმ კედელში კუთხიდან 20 სმ-ის დაშორებით მართკუთხა ხვრელია, რომელიც გადის ტაძრის გარეთ. ეს კედელი გრძელდება დასავლეთის მიმართულებით და დაახლოებით 2 მ-ის შემდეგ შემოდის თანამედროვე ტაძრის შიდა სივრცეში, სადაც წყდება უსწორმასწორო კიდით, რაც იმის მოწმობაა, რომ კედლის დარჩენილი ნაწილის ჩამონგრეულია.

ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ბუნებრივი კლდის უზარმაზარი ლოდია, რომელსაც ებჯინებოდა ზემოხსენებული კედელი დანგრევამდე. აქვე უერთდებოდა მას აღნიშნული საფეხურებიანი ნაგებობის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთის ბოლო, რომელიც აგრეთვე ჩამონგრეულია (ხვისტანი, რჩეულიშვილი, 2013-2014, გვ. 445).

აღნიშნულ კედელს შუა ნაწილში სამხრეთის მხრიდან აქვს რიყის ქვით ნაგები დუღაბის შვერილი (ნაწილობრივ ჩამონგრეულია), რომელიც შემოდის ტაძრის შიდა სივრცეში. დუღაბის ამ კედელში გამჭოლად ჩადგმულია წყალსადენის თიხის მილები, რომელიც აღმოსავლეთი ბოლოთი გადის ზემოთ აღწერილ სამ ქვითკირის კედელს შორის მოქცეულ სივრცეში, რომელიც შესაძლებელია ავზი ყოფლიყო. სავარაუდოა, რომ ავზს სამხრეთიდან ჰქონოდა კედელი, რომელიც შემდეგი დროის მშენებლებმა მოანგრიეს. ამავე ავზში შემოდის ზემოთხსენებული ჩრდილოეთის ქვითკირის კედელში არსებული ხვრელი. თიხის მილის დასავლეთი ბოლო გამოდის ავზის მსგავს მართკუთხა სივრცეში, რომლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე ამჟამად დანგრეულია. ამ ავზის მსგავსი სივრცის სამხრეთ ნაწილში თიხის მილის დონეზე შემორჩენილია კირხსნარიანი ფენა. დანარჩენ ნაწილზე ეს ფენა დაზიანებულია, დარღვეულია.

ზემოხსენებული, ქვის ფილებით მოგებული ბაქანი, ჩრდილო-აღმოასვლეთ კუთხეში, მოლესილია კირის ხსნარით. ეს ბაქანი დაყრდნობილია კირხსნარის 10 სმ სისქის ფენაზე. შემდეგ მოდის 10-15 სმ. სისქის მიწის ფენა, რომელიც დაფენილია კირხსნარის ფენაზე. ეს კირხსნარის ფენა, თავის მხრივ, ფარავს რიყის ქვებით მოგებულ ბაქანს.

შირიმიანი ნაგებობის კარის აღმოსავლეთ წირთხლზე ჩრდილოეთიდან მიშენებულია დუღაბით დაგლესილი ქვითკირის მცირე ბაქანი, რომელიც ზედაპირის დონით უსწორდება საფეხურებიანი ნაგებობის სამხრეთ ბორდიურს. შირმიანი ნაგებობის კარის ზღურბლი მოგებულია რიყის ქვებით და თავის დროზე მოლესილი ყოფილა კრიხსნარით. ზრურბლის სამხრეთ ნაწილში დალაგებულია რიყის ქვები, რომელზეც მოლესილია თიხის ბაქანი ჩრდილოეთიდან შემოზღუდული დაბალი ბორდიურით.

ამ თიხის ბაქანის სამხრეთით, დაახლოებით 50 სმ-ის სიგანეზე შეიმჩნევა შავი მიწა, რომელშიც, აგრეთვე, ერია კლდის ფილები, ამ სივრცის ამოწმენდის შემდეგ, თანამედროვე ტაძრის აბსიდის სამხრეთ კედლის საძირკველის ქვემოთ გამოვლინდა ერთმანეთისაგან ნახევარი მეტრით დაცილებული, დაახლოებით 2 მეტის სიგრძის, ფიქალით მშრალად ნააწყობი ორი პარალელური კედლის ნაშთი, რომელიც ზემოდან ფაქალისავე ბრტყელი ფილებითაა გადახურული. გარდა მშრალად ნაწყობი ორი პარალელური კედლისა, ფიქალის სახურავის საყრდენებად სიგრძეზე ვერტიკალურად ჩალაგებული შვიდი კერამიკული მილია (მილების საშუალო სიგრძე – 35,3 სმ, დიამეტრი თავში – 10 სმ; დიამეტრი ბოლოში – 8 სმ; გადასაბმელის სიგრძე – 3,5 სმ; შვერილის სიმაღლე – 1 მ; კეცის სისქე – 2 სმ; გამოყენებული ფიქალის კედლებსა და კერამიკულ მილებს შორის სივრცე ამოვსებულია შავი მიწით. ფიქალის ბრტყელი, ბანური სახურავი ზემოდან გადაგლესილია თიხის მკვრივი, სქელი ფენით. შიგნიდან შელესილი ყოფილა კედლებიც, რაზეც აქ შემორჩენილი თიხის შელესილობის ფრაგმენტები მეტყველებენ (ხვისტანი, რჩეულიშვილი, 2015, გვ. 153).

კიბიანი ნაგებობის ნაშთი, რომელიც ჩხუტელის წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ეკლესიის იატაკქვეშ გამოვლინდა, თავისი ფორმით წარმოადგენს მიწისქვეშა სათავსოს, სამალავს, გალერეას, კრიპტას, რომე-ლსაც იყენებდნენ წმიდანის დასაკრძალავად და საეკლესიო სამსახურისათვის. მსგავსი კრიპტები მრავლადაა გამოვლენილი არქეოლოგების მიერ ადრეშუასაუკუნეების ქართულ ქრისტიანულ ეკლესიების იატაკქვეშ (დავათი, ნეკრესი, ბირელ კატი და სხვ.).

ძეგლზე გამოვლენილი წამების კვალიანი თითები ადამიანისა, აგრეთვე VII-IV, XI-XII საუკუნეების ბერძნული და ქართული წერილობითი წყაროების ცნობები, ახლადმოვლენილი კრიპტის ფორმა და სხვა გარემოებები საფუძ-

ველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სამარხთან (ხვისტანი 2012; ხვისტანი, რჩეულიშვილი, 2013-2014).

გამოყენებული ლიტერატურა

ხვისტანი (2012) რევაზ ხვისტანი. ჩხუტელის წმიდა მაქსიმე აღმსარებელის სახელობის ეკლესიის ინტერერში აღმოჩენილი ინტალიო, აფხაზეთის მოამბე, #1(8), 2012, გვ. 31-37;

ხვისტანი, რჩეულიშვილი (2013-2014) რევაზ ხვისტანი, გიორგი რჩეულიშვილი, ლეჩხუმში წმიდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავის ადგილსამყოფელის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიიდან, სოხუ¬მის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XI, თბ., 2013-2014, გვ. 437-446;

ხვისტანი, რჩეულიშვილი (2015) რევაზ ხვისტანი, გიორგი რჩეულიშვილი, ჩხუტელის წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ეკლესიის ინტერიერში 2011 წლის იანვარში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, წმიდა მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, I, 2015, გვ. 183-153.

ტაბულები

სურ. I. წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ეკლესიის იატაკქვეშ გამოვლენილი კრიპტა (გეგმა)





სურ. 2. კრიპტა